მოქალაქეებს უნდა წარმოუდგინონ კანონიერი მოთხოვნილებანი, რომელნიც იმათ აუცილებლად უნდა სისრულეში ძოიყვანონ. იმ პირთ, რომელთაც არ შეუძლიათ ზრდილობიანად და კეთილად საქმის ასრულება, მოუწოდებენ სამსახურს თავი გაანებონ დროა გაიგონ, რომ მილიცია მცხოვრებლების ინტერესებს ემსახურება

◆ **მილიციის უფროსმა მე-8 კომისარიატის დათვალიერების დროს** აღმოაჩინა, რომ ხსენებული კომისარიატი მეტად უსუფთაოდ არის შენახული. ამის გამო მე-8 კომისარიატის **კომისარი** მესხი დროებით გადაყენებულია თავის მოვალეობისაგან

ყველა კომისრებს ევალება. თავის კომისარიატში ამოარჩიოს უფროსი მილიციელი, რომელსაც სანიტარული ნაწილი მიენდობა და სხვა საქმისაგან განთავისუფლებულ იქმნება. უფროს მილიციის თანაშემწეებად უფროსი მილიციელები დაინიშნებიან.

◆ **მილიციელთა საქციელი.** აგვისტოს 5-ს, მე-8 უბნის უფროსი მილიციელი თაქთაქიშვილი და უმცროსი მილიციელი ნაზარიანცი უხეშად და უზრდელად მოექცნენ შეპყრობილ მოქალაქეს, დადგენილია ორივე მილიციელი დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან ... თავის ბრძანების აუსრულებლობისათვის და სამართალში მიცემულნი.

◆ **საქართველოს ლერბი.** პროფ. ჯავახიშვილის წინადადებით სახელმწიფოებრივად უნდა იყოს თეთრი გიორგოსანი, ... ეს გაშოხატლება ისტორიულად და ტრადიციულად დაკავშირებულია ქართველ ხალხის ... სებობასთან. ხელოვნების კომისია ... ულობს კონკურსი იყოს გამოცხადებული ... ლერბის შესაძენად.

◆ **ფოთში საერობო არჩევნები** ... ამორჩეულ იქმნა ორი ეროვნულ-დემოკრატი და ორი სოც.-დემოკრატი.

◆ **არამიანცის გაქურდვა.** არამიანცი თავის სასტუმრო „მაუეს ტიკ“-ისათვის შეძენილი ჰქონდა რამდენიმე ... ლირებული ავეჯეულობა და ... ოდგანაც „მაუეს ტიკ“-ის შენობის ... ციზიცია მოხდა, ყველა ეს ქონ... „პალას-ოტელ -ის სარდაფში იყო შე... ხული. ერთ ხანს, როდესაც ... ბის გამოსვლას მოელოდნენ, სარდა... უფრო გაამაგრეს. ხოლო ამ წინად ... ჩამოხსნეს ახლად გაკეთებული კარებ... და ამის შემდეგ გაქურდეს სარდაფ... მთელი ავეჯისაგან ძვირფასი ტყავი ... აბრეშუმი მოუხსნიათ, ... ლიათ. ეკვით შეიპყრეს მეეზოვე, ... ელსაც უპოვეს ... ◆ **გერმანიის შტაბის ცნობები.** გერ... მანიის სამხედრო ტყვეების ... დან, 156 ... ოფიცერი წამოვიდა. ... ... ◆ **გერმანიის მიხია** ... ... ◆ **ფოთში** ... ... ◆ **ფოთში** ... ... ◆ **ფოთში

ბოლომდე ავამუშავო კალამი და სიამოვნების სანაცვლოდ ხშირად ბევრს უსიამოვნობაც მივანიჭო.

ამ ჟამად ეს წერილი გამოწვეულია კერძო შემთხვევით, მთავრობის ერთ-ერთი მოხელის ბოროტ-მოქმედებით. მაგრამ მწყურს მასზედ ხმა ამოვიღო, რადგან იგი ხშირ მოვლენად ჩაითვლება იმ პირთა შორის, რომელთა მოვალეობაც არის ქვეყნის გაპატიოსნება და თვითონ კი მხოლოდ ჟუჟყით აღავსებენ ხალხის გულსაც და თავიანთ მიძღვობ პირებსაც.

ბაგრამ ვიდრე შევეხებოდე ამ კერძო შემთხვევას, საჭიროდ ვიმაჩხია ზოგიერთი საერთო დაკვირვებანი გავუზიარო საზოგადოებას.

ყოველი მთავრობა იმდენად აროს ძლიერი, რამდენადაც სულ ჩვეულებრივი, ბრბოს შემადგენელი ოქალაქე ენდობა მას და კმაყოფილია მისით.

ცხოვრების საზომად არასდროს არ უნდა ავიღოთ არც საგიჟეთში გასაგზავნები, არც—სიკვდილის მემდეგ ეგლ ფასადგმელები. ცხოვრება, სახელმწიფო, საზოგადოება გახეზომება სულ უბრალო ადამიანით, მის გუმოკებით, ამოოვნებით, ზნეობით და სხვა.

ამგვარის გაგონებით რომ დავაფასოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, სწორედ რომ აღვიშხოთ—საბარბიელო აოასფეროა: უკმაყოფილოა დიდი, დიდი უმრავლესობა, ეოთი ხაწილი ამ უკმაყოფილოთა ბესდგება იმ სულიეოთაგან, ვიხც ბოროტებათა და მურის თვალით შესცქერია ჩვეს აღოოძიხებას და უფლებრივ გახახლებას, ახ ვის ბიც აღმოფხვილია ყოველგვარი ეროვნული გოძხოა ბათის წყალობით, ვიხც ეხლა, თითქოს, ყველაზედ მეტად ვაგლახობს მას.

ბეორე ხაწილი უკმაყოფილოთა კი—ესენი აოიან გულწრფელი მოკეთეი ქართველობას გახმტკიცებისა. ჩვენ ...ოვნულ ციხე-სიმაგოეთა მკვიდრად და ...ად ...ებისა იგინი სწუხას აოა ...ომ ჩვენი ცხოვრების ბორბა... ...ერიალობს როგორც სასურვე... ...ედ მასა, რომ ეს არ ხდება ... აუცილებელია და შესაძლებ... ...ვენის ბარჯვენით და საკუთარის ...ათ.

...ორედ ასეთ უკმაყოფილოთა მორის ...ა ვეფიოთ ღირსეული ბურჯი ინ ...კვიდრებულ ხიდია, რომელიც შე... ...ერთებს ბომავალ გახახლებულ ცხოვ... ...ასთან.

...ოუ მთავრობა მაგარ საფუძველზე ...ა სდგას თავისავე ქვეყანაში, იგი ...ალდაგოა გარეთაც და თავისი ბინაუ... სისუსტე იმულეოული ჰყოფს ხოლ...ე ...ამართოს რომელიმე გაოე...ე ...ალას ...ავის შინაურ ძლიერების გახსაბტკიცებ...ად და ...ბი, შეიძლება თავიახთ და ...ბუზვედრავათვე, ეყრება საძირკველი ...ათ საკუთარ ქვეყნის პოლიტიკურ და...ონავებას, ახ იქნებ გადაბოხავებასაც.

რომელიმე მთავრობას საერთოდ დიდი ნიადაგი აქვს ხალხში, რადგან ხალხს უმეტეს ნაწილად უყვარს, ანუ საჭიროდ ...ნაჩხია კანონიერება და ძალა. და თუ ...ბა თუ ინ მთავრობის გავლენა შერყეულია საკუთარსავე ქვეყანაში, ეს იბას ...ნიშნავს, რომ ან ის არ არის გამომსა...ველი თავისივე ხალხის მდგომარეობისა და ან არ შესწევს იმდენი ძალა, რომ საკადრისად აუღოს ალლო ხალხის სულიერ და ხივთიერ ვითარებას და მის დაგვარად ააძუბაოს თავისი ძალ-ღონეც

ჩვენს მთავრობას ჩვენივე სოფელი, შეიძლება ითქვას, სრულებით არ იცნობს. ძისი გავლენა ყველაზე მეტად მოკლებულია გლეხ-კაცობაში.

ეს უხდა იცოდეს თვით მთავრობამაც, ...აგრამ ...ას აკმობამდის ვეოასფერი საშუალება გამოუნახავს ...ბ სიბხელის გადასალ...ბავად.

თუ რათ არის ჩვენი გლეხ-კაცობა გაჯიუტებული თავის უადობლობაში, ...ბისი ...ევრი მიზეზი იმდენად ცხადია, რომ გაოკვევით მეიძლება ...ასზე თითის დადეა. მაგრამ ...ე აქ ...ინდა აღვნიშნო ...ხოლოდ ერთი, რომლითაც ცხად ვყოფ მიზახსაც და ...ბაბსაც—ამ წერილისა.

ეი ეს ერთი მიზეზთაგანიც: ჩვენი გლეხ-კაცობა ჯერ ხომ ან-ბანის მცოდნეც არ არის და მას არ ძალ-უძს შორეულად ადევნოს თვალ-ყური, როგორც თავის მთავრობის მოქმედებას ისე საერთო სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. იგი მთავრობას იცნობს მილიციონერისა, კომისრისა და ამ სხვა და სხვა მთავრობის წარმომადგენელთა შემწეობით, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვსთ გლეხობასთან. კარგნი და პატივ-საცემნი არიან ეს პირები—კარგია და ნდობის ღირსიც მთავრობა.

გლეხის მთავრობა ის არის—ეასთან ...ც პირდაპირ აქვს საქმე. მაგრამ რას წარმოადგენს შემადგენლობა ჩვენის ადმინისტრაციისა?

მე ხომ ზოაპარს არ ვამბობ. მე იმას ვამბობ, რაც ვიცი და მინახავს ნამდვილად.

გუშინ რომ ნიკოლოზის მთავრობაც კი სდევნიდა რომელიმე ქურდ-ბაცაცს, ავაზაკს, დღეს იმათთვის საკმარისი ყოფილა დაირქვას სოციალ-დემოკრატის სახელი, რომ მიიღოს მილიციონერობა და კომისარობა. ყოველი არა ქნია და მეტიჩარა, ზარმაცი და ლოთი ხან წესიერისა და ხან უწესო საშუალებით ახერხებს ხალსის დაპატრონებას.

სოფელი გახიცდის სრულს უპატრონობას. თავხედური ძარცვა-გლეჯისაგან მოსვენება არა აქვს ხალხსა და პატრონი კი არავინ არის. ხშირად შეიძლება იციან კიდეც ვინ არიან, მაგრამ, რადგან ისინი დარწმუნებული არ არიან, რომ დაიჭერენ თუ არა მათ და გადასცემენ კომისარ-მილიციონერებს დასჯილ იქნებიან ღირსეულად და პირიქით ეოთი-ორი დღის შემდეგ თავისუფალნიც არ იქნებიან, სწორედ კრინტს ვერა სძრავს ვერავინ, რადგან შემდეგ განთავისუფლებულ ავაზაკს შეუძლიან ზედ-მეტად იძიოს მური, მოჰკლას, გადასწვას და ს

მეორე დელეგაცია ტფილისში უნდა გამგზავრებულიყო მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

რეზოლიუცია დამზადებული იყო და დელეგატებს ხელი უნდა მოეწერათ, მაგრამ მოწინააღმდეგენი ყოყმანობდნენ. ჯერ წავალთ, ხალხს ვკითხავთ და თუ დაგვთანხმდნენ, მაშინ მოვაწერთ ხელსო. მაგრამ ბევრი ყოყმანის შემდეგ ხელი მოაწერეს და კრება დაიხურა. უკვე დაღამებული იყო და ამიტომ გადავსწყვიტეთ ჩვენი დელეგაცია მდივანით და თავმჯდომარით ერთად მეორე დღეს ერთად წასულიყვნენ სიონში და საერთო მოწინააღმდეგების მიტინგზედ წაეკითხათ ოქმი კრებისა. საქმე ყველას ეგონა ამით დათავდებოდა.

მეორე დღეს, დილით ადრე ოთხი დელეგატი, ორ-ორი სიონიდან და ყაზბეგიდან, მდივანი და თავმჯდომარე გავეშურეთ სიონში მიტინგზე. ხალხი მიგველოდა: თვალწინ შემდეგი სურათი იყო გადაშლილი. მოზღვავებული აღელვებული გლეხობა ყველანი იარაღში ჩამჯდარი, რომლის რიცხვი 3700 აღწევდა ერთმანეთში ბუზებივით ირეოდა. ყველანი მტრულის თვალით გვიცქეროდნენ ვიფიქრეთ, რომ აქ გამოსვლა შეუძლებელია, მაგრამ ეს მოითხოვა ხალხმა და იძულებული ვიყავით დავთანხმებოდით კრება დაიწყო. ხალხი ოთხკუთხად დააყენეს. დელეგატი ეკითხება ხალხს: გვენდობით თუ არა და ჩვენ მიერ შემუშავებულ დადგენილებას მიიღებთ თუ არაო. ხალხმა ნდობა გამოუცხადა, რის შემდეგ ტრიბუნაზედ ადის მდივანი რომელიც კითხულობს ოქმს და როცა მივიდა იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, საქართველოს მთავრობას ნდობა უნდა გამოუცხადოთო ერთხმად ყვირილი გაისმა: „ძირს, არ გვინდა გამყიდველი მთავრობაო". ბოლოს დაწყნარდნენ. ოქმი დასრულებულ იქმნა და წაიკითხეს რეზოლიუცია, რომელიც პირველად მიიღეს, მაგრამ ამ დროს გამოდის ერთი დელეგატთაგანი და აცხადებს: ამხანაგებო. ისინი არ უშვებენ ბოლშევიკებს, ჩვენს ძმებსო. ამაზე ხალხმა ყვირილი შექმნა: „უნდა გამოუშვათო": ძლივს დავაწყნარეთ, ტრიბუნაზედ ადის კობის შტაბის უფროსი, რომელიც აცხადებს, რომ „ერთობაში" წავიკითხე საქართველოში ბატონყმობა უნდა აღსდგესო. ხალხი აღელდა გაგება აღარ იყო. მოგვარდნენ, ზოგს კაცის დახვრეტა დაგვაბრალეს, ზოგს ოფიცრობა. საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, გადასწყვიტეს ახლავე ყაზბეგში წავიდეთ ყველანი და „წითელ გვარდიელებს" იარაღი ავაყოროთო, მივმართეთ სიტყვებით, მაგრამ ვერას გავხდით. გადავსწყვიტეთ გამოვრუნებულიყავით და ჩვენს საქმეს შევდგომოდით, ყაზბეგელები და ჯარის კაცები ჩვენს საქმეს მოელოდნენ მანამდის ვერავითარ გზას ვერ დაადგებოდნენ მაგრამ დელეგატები დაგვატყვევეს.

როგორც იყო, გაგვანთავისუფლეს და თან უკან გამოგვყვნენ. აღარაფრის გაეთება არ შეიძლებოდა, ამ დროს ისიც შემოვიდნენ. გადავსწყვიტე ზარბაზანი გამეფუქებინა. ისე რომ ვერ გაეგოთ. მაგრამ ამ დროს მოგვისწრეს და აიძარეს. აგრედვე მივმალეთ ორი ზარბაზნის ნასოსი ტრუბკა და სხვა ძვირფასი ნივთები.

ყაზბეგელები აღელვებული იყვნენ. რეება ქაიმართა, რომელსაც დაესწრენ დელეგატების გარდა გლეხებიც და ჯარის კაცებიც. ყველას აღელვება ეტყობოდა ყაზბეგის მღვდელი **ლუდუშაური** რამოდენიმე შეკითხვას აძლევს დელეგატებს, რომლებიც სუჩუმით უპასუხებენ, მაშინ მღვდელი მათ საქართველოს გამყიდველებს უწოდებს, ამან აღელვება გამოიწვია მოწინააღმდეგეთ შორის. **პ. ჩხიკვაძე** მიმართავს **მ. მანგიაშვილს** და ეკითხება: მანგიაშვილო, გეკითხები შენ ბლა როცა მოგვატყუეთ და დროებით ერველისფერი გათავებულია მომეცი პასუხი. თქვენ საქართველოს ზიზღი გამოუცხადეთ. თქვენ თუმცა ბოლშევიკები ხართ მაგრამ ინგუშები, ჩეჩნები და ოსები ჩვენ გაგაგვემტერებიან, რადგან მათ ბოლშევიზმი არა სწამთ. ასე რომ ორივე მხრით მტერი გვყავს. ეხლა რაი ნდა აწარმოოს დუშეთის მაზრამ. საიან მოელით დამხმარე ძალას, ან სურათს და საომარ ძალას, გაქვთ იმედი ნმსგან? მიპასუხეთ. მანგიაშვილი პასუხს არ იძლევა. ვიცი ეს რას ნიშნავს. ედავ, ეს გლეხობა თქვენგან მოტყუელი იღუპება. დარიალი, ვრცი დაცეცა და ის ბრბო, მტაცებლებისა ყაზბეგს ემოესევა, ცეცხლს დაბიბილს მისცეენ მთელს უდანაშაულო სოფელს, ბავების და ქალების სისხლით მორწყავენ ქაურ ველებს. ყველა ამის შემდეგ ნდას მივცემ ჩემს თავს შესაფერი სახელი გიწოდო. მე დამხვრიტეთ, მიირთვით ჩემი სხეული. არ მეშინიან, რადგან ჩვენი სიკვდილი მაშინ იყო, როცა იარაღი ჩამოგვართვით, შენ მტარვალი ხარ, ჩარჩი, ვაჭარი, რომელიც ტყავს აძრობ ამ საწყალ ხალხს და დღეს მისი მეთაურობა გიკისრნია. ის უმანკო სისხლი, რომელიც დაიღვრება, შენ კისერზედ იქნება და ქართველი ერი თქვენისთანა გამყიდველებს პასუხს მოსთხოვს.

ხალხი აღელდა. ყაზბეგელები ბევრნი სტიროდნენ, იცოდნენ თუ რა მოელოდათ დარიალის დაცემით. ესმოდათ, რომ ეს ტრაგედია იყო მთელი ხევისთვის და შეიძლებოდა საქართველოსთვისაც, ჰგოდებდნენ, მაგრამ შველა არსაიდან იყო.

კრება დაიშალა, ბრბომ ჩვენი წართმეული ზარბაზნები ყაზბეგს დაუნიშნა და სოფელს ალყა შემოარტყა. თუ რამე გაბედეს, ამბობდნენ ყაზბეგელები, თავს შევაკლავთ კი არ დავნებდებით ისე კი მოვითმენთ დრომდის.

პ. ჩხიკვაძე.

(შემდეგი იქნება).

ხოლერა და მასთან გრძოლა

(დასასრული *)

ხოლერიანობის დროს უმთავრესს ხოლერის ნიშნებად ითვლება პირსაქმება და ფაღარათობა (ინთილა). ბევრს ჰგონია, ეს ნიშნები უტყუარი ნიშნებია — ეს არაა მართალი—ზოგიერთ შემთხვევაში პირსაქმება და ფაღარათობა უხოლეროდაც დაემართოს ადამიანს. ხოლერის დასამტკიცებლად საჭიროა ხოლერის ვიბრიონის აღმოჩენა—თუ ავადმყოფს განავალში ვერ უნახეს ვიბრიონი, ის უბრალო ფაღარათობით იქნება ავად და არა ხოლერით. ამის მიუხედავად ხოლერის უმთავრესი ნიშანი მაინც ფაღარათობა და პირსაქმებაა.

ჩაუვა თუ არა ადამიანს პირში ხოლერის ვიბრიონი, ორი სამი დღე გრძნობს რაღაც სისუსტეს, უგემურობას, უმადობას. ორი-სამი დღის შემდეგ უცბად აერევა გული და ასტკივა მუცელი. შემდეგ დაიწყებინებს ფაღარათობას და პირსაქმებას—ასაქმებს და აფაღარათებს წამ და უწუმ. მომვლელი საცვლის გამოცვლასაც კი ვეღარ ასწრებს. ავადმყოფი ძალიან სუსტდება, თვალები უვარდება, ცხვირი უწვრილდება, შარდი ეხუთება, სისხლი უსქელდება, კანი უხმება, ხელ-ფეხი უცივდება, ეკრუნჩხება, კრუნჩხვის დროს გრძნობს საშინელს ტკივილს, ხმა ეხრინწება, ერთი დღის განმავლობაში იწრიტება სითხიდან და ამ მდგომარეობაში კვდება კიდევაც.

რასაკვირველია, ყველა შემთხვევაში ასე არ გამოიხატება ხოლერა. ხანდახან ავადმყოფს პირს ასაქმებს და გააფაღარათებს რამოდენიმეჯერ, მერმე გამობრუნდება და მორჩება.

ავადმყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი აგებულობისაა, როგორ სვამს, როგორ ჭამს, უელის იუ არა თავის თავს, უყვარს სიწმინდე თუ არა, ჯანმრთელია თუ არა?

ჩვენში ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ ყოველივე უბედურება ღარიბსა და შეუძლებელს უფრო ატყდება თავს, ვიდრე შეძლებულს და მდიდარსა. ეს ხოლერამაც კარგად იცის და ამისათვის ღარიბს უფრო ეტანება, ვიდრე შეძლებულს.

ხოლერასთან საბრძოლველი ზომები სხვა და სხვანაირია: ერთი სახელმწიფო, მეორე საზოგადოებრივი და მესამე კერძო.

ის სახელმწიფო, რომელიც განვითარებულია და კარგად აქვს გათვალისწინებული ხოლერისაგან მოტანილი უბედურება, სასტიკად ებრძვის ამ სენს და სინსილას უქრობს. ამგვარ სახელმწიფოში საზოგადოებამაც კარგად იცის, რა არის ხოლერა და რა შეუძლია მას, ამისათვის ის ხშირად არ კი საჭიროებს სახელმწიფოს დახმარებას.

საზოგადოდ კი, გაჩნდება თუ არა ხოლერა რომელიმე სახელმწიფოში, მეზობელი სახელმწიფო ხმარობს შემდეგ ზომებს:

1. აარსებს კარანტინებს, ე. ი. ჰკრავს გზებს და არავის არ უშვებს თავის ქვეყანაში დაუთვალიერებლად, აჩერებს საზღვარზე რამოდენიმე დღე, და თუ არაფერი აღმოაჩნდა, უკეთებს დეზინფექციას და აძლევს ნებას შევიდეს სახელმწიფოში და შეუდგეს თავის საქმეს, თუ ვინიცობაა გამოაჩნდება ხოლერის ნიშნები, ათავსებს საავადმყოფოში. კარანტინი ორნაირია: ხმელეთისა და ზღვისა, ორივე ერთ და იმავე მიზანს ემსახურება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზღვაზე გემებს არ აძლევენ ნებას მიადგნენ ნაპირს და გადმოსვან მგზავრები, აქაც, როგორც ხმელეთზე რამოდენიმე დღეს თვალ-ყურს ადევნებენ მგზავრებს და მერმე აძლევენ ნებას ხმელეთზე გადმოსვლისას.

2 მთავრობა ავალებს საზოგადოებას, ყველა ხოლერიანი ავადმყოფი მოთავსდეს საავადმყოფოში, ან განგებ აგებულ ბარაკებში. ეს ზომა მეტად კარგია. ერთი იმისთვის, რომ ავადმყოფს საავადმყოფოში უფრო მიზანშეწონილი მოვლა ექნება, ვიდრე შინ და მეორე იმისთვის, რომ ცალკე ბინაზე შინაურებს, მომვლელებს, მეზობლებს უფრო მეტი შემთხვევა აქვთ ავად გახდნენ, ვიდრე საავადმყოფოში. შინაურები ყოველთვის თავს დასტრიალებენ ავადმყოფს, აწვდიან საჭმელს, სასმელს, ისერიან ხელებს და სხვა. საავადმყოფოში ყოველივე ავადმყოფს თავის მომვლელი ჰყავს მიჩენილი, რომელიც ვალდებულია ავადმყოფთან მიკარების შემდეგ, მიიღოს შესაფერი ზომები.

3. წაიყვანენ თუ არა ავადმყოფს საავადმყოფოში, საჭიროა სახლ-კარის და ავეჯეულობის დეზინფექცია, ე. ი. სხვა და სხვა წამლებით გაწმენდა ყოველივე იმისა, რასაც კი ხელს ჰკიდებდნენ და სვრიდნენ ავადმყოფი და მომვლელი. ქალაქებში ამისათვის მოწყობილი აქვთ დიდი კამერები, სადაც უფასოდ სწმენდენ ხოლერიან ავადმყოფის ავეჯეულობას. კამერა მშვენივრად სწმენდს ყოველისფერს, მაგრამ სამწუხაროდ ყოველივე საგნის კამერაში წაღება შეუძლებელია. მაგ. შკაფის, კამოდის, საწოლის, ამისათვის საშინაო დეზინფექციისათვის ხმარობენ სხვა და სხვა წამლებს—ფორმალინს, მერკურის, კარბოლის სიმჟავეს, კირს და სხ.

როდესაც ხოლერა გაჩნდება, ხალხი შინდება და გაურბის. შიში და გაქცევა საქმეს ვერ შველის—პირიქით, ამ შემთხვევაში საჭიროა ძალის მოკრება და შებრძოლება. შიშს და ფიქრს დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, უფრთხობენ სიმშვიდეს, უსუსტებენ სხეულს და დასუსტებული ადამიანი როგორც ნათქვამი იყო, უფრო ჩქარა ხდება ავად ხოლერით, ვიდრე ჯანსაღი.

ა. თუ ვინმე ავადდება ავად, საჭიროა მისი გაგზავნა საავადმყოფოში ან ბარაკში—თუ ეს შეუძლებელია, უნდა დასტოვონ ბინაზე და მოუარონ შინაურებმა, ამ შემთხვევაში საჭიროა შემდეგი ზომები:

1. განავალს და პირნასაქმებს უნდა მოუაროთ თავი ქოთანში, ან ტაშტში და გადაღვაროთ ორმოში ორმოს უნდა დაასხათ კირ-წყალი (20%) ან დააყაროთ მიწა—ორმო უნდა ამოპრილი იყოს ბინის დაშორებით—ტაშტი ან ქოთანი ან უნდა გამდუღროთ, ან უნდა გაწმინდოთ მერკურით, ან კარბოლის სიმჟავეთ.

ბ. ხოლერით ავადმყოფის საცვალი უნდა ვრეცხოთ ცალკე გობსა, ან ტაშტში და არა იმ წყალში, რომელსაც სვამენ და ხმარობენ სხვა და სხვა ჭურჭლის სარეცხად. ჩანარეცხი წყალი უნდა გადაღვაროთ ცალკე ორმოში და დააყაროთ კირი.

გ. მეზობლებმა და სხვა ნაცნობებმა უნდა შესწყვიტონ ავადმყოფიან სიარული, ნაცნობებს შეუძლიანთ ავადმყოფის ნახვა, მხოლოდ შემდეგი პირობით: არ უნდა ჩამოართვან ხელი, არაფერს მოჰკიდონ ხელი, ხალათით შევიდნენ, გამოსვლისას აიძრონ ხალათი, დაიბანონ ხელები საპნით

დ. თუ ვისმეს მოუვა გულის რევა ან ფაღარათობა, მაშინვე უნდა მიმართოს ექიმს, ან მისს თანაშემწეს—თუ ესენი არ მოიძებნებიან, დაწვეს, სვას თბილი ჩაი, მუცელზე იდვას თბილი ქატო ან ბოთლი, თუ შესაძლებელია მიიღოს ბოტკინის წვეთები.

ე. არ უნდა გადავამეტოთ არც სმას, არც ჭამას. პური უნდა ვჭამოთ თავ-თავის დროზე. დილით უჭმელად და უსმელად არ უნდა გამოვიდეთ სახლიდან, თუ შეიძლება დავლიოთ ჩაი პურით, თუ არა დავსაუზმდეთ პურით მაინც.

ვ. ბევრს ჰგონია, ხოლერის დროს ხილის ჭამა არ შეიძლებაო. ტყუილია! ხილის ჭამა შეიძლება, მხოლოდ საჭიროა მისი გარეცხა ადუღებული წყალით. ხოლერის ვიბრიონი თუ ექნება ხილს, ექნება გარედ კანზე და არა შიგნით.

ზ. სასმელ-საჭმელი უნდა იყოს სუფთა, ბუზისაგან და მტვერისაგან დაფარული, ბუზს ხშირად გადააქვს ხოლერის ვიბრიონი ერთი ადგილიდან მეორეზე.

ი. ხოლერიანობის დროს ბევრი ეტანება ნიორს, ასე ჰგონიათ, ნიორი ჰკლავს ხოლერის ვიბრიონსო. ტყუილია! ნიორი ვერას აკლებს ვიბრიონს—პირიქით ბევრი ნიორის ჭამა ადამიანს უმძიმებს და უშლის კუჭს.

კ. სასმელად საჭიროა ნადუღი წყალი. აუდუღარი წყალი ხშირად ვიბრიონებიანია. დუღილის დროს კი ისინი იხოცებიან და ჰკარგავენ ძალას.

ლ. საჭიროა მუცლის შენახვა თბილად.

მ. უნდა ვერიდოთ აუდუღარ წყალში ბანაობას, არ უნდა დავწვეთ ნესტიან მიწაზე, არ უნდა გავიცივოთ ფეხები. ხშირად უნდა ვიბანოთ ხელი საპნით და ადუღებული წყალით—პირიც ადუღებული წყალით უნდა გამოვირეცხოთ.

მშვენიერი გავლენა აქვს ხოლერის დროს შრატის ხმარებას. საჭიროა მხოლოდ ხალხი დარწმუნდეს მისს სარგებლობაში და დაუჯეროს ექიმების დარიგებას. როდესაც ინგლისელმა მეცნიერმა ჯენერმა გამოიგონა ყვავილის აცრა, ხალხი გაურბოდა და არ იცრიდა, ეხლა კი ვინაა იმისთანა, რომელმაც არ იცოდეს აცრის სარგებლობა? ხოლერის შრატის ხმარება შემოიღეს ამ ომიანობის დროს—პირველ ხანებში ჯარისკაცები ძალიან უარზე იყვნენ, არ იშხაპუნებდნენ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ მისს სარგებლობაში და უარს აღარ ამბობდნენ. არც ჩვენ უნდა ვთქვათ უარი და ყოველნაირად დავეხმაროთ ექიმებს მისს ხმარებაში და გავრცელებაში.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც შინ გაგვიხდება ჟინმე ავად?

1. ავადმყოფი უნდა გავგზავნოთ საავადმყოფოში ან ბარაკში, თუ არა და უნდა მოვუაროთ ბინაზე, მივუჩინოთ მომვლელი, რომელიც უნდა მოიქცეს ისე, როგორც აღნიშნული იყო ზემოდ.

2. ავადმყოფს უნდა დავუთმოთ რაც შეიძლება დიდი, სუფთა ოთახი, ჰაერი ხშირ-ხშირად უნდა გავწმინდოთ ფანჯრების გაღებით.

3. განავალი და პირნასაქმები უნდა გადავღვაროთ დანიშნულ ადგილს.

4. გასვრილი საცვალი უნდა გავრეცხოთ წინდახედულობით ცალკე, საპნით, მერკურით.

5. ავადმყოფის გადარჩენის ან გარდაცვალების შემდეგ, ყოველივე მისი საგნები, საცვალი ან, რასაც ვახმარებდით, საუკეთესოა დავწვათ, თუ არა გავგზავნოთ კამერაში სადეზინფექციოდ.

6. მიცვალებულს არ უნდა ვაკოცოთ, უნდა გავხვიოთ სუდარაში, ჩავდოთ კუბოში და ჩავმარხოთ ღრმად.

ექიმის მოსვლამდე ავადმყოფი:

1. უნდა ჩაწვეს ლოგინში, მუცელზე დაიდვას თბილი ქატო ან ბოთლი.

2. პირსაქმების დროს უნდა სვას თბილი ჩაი, ანდა ჰყლაპოს ყინული, მიიღოს ბოტკინის წვეთები—15 წვეთი ყოველივე ორ საათში.

3. ხელფეხის კრუნჩხვის დროს კარგია არაყით, ძმრით ან ქაფურის სპირტით ხელკა.

4. სისუსტისათვის საჭიროა ვალერიანის წვეთები (20 წვეთი ყოველივე ორ საათში), წითელი ღვინო თხთო სტოლის კოვზი ყოველ საათში, გულის წასვლის დროს უნდა ასუნებინონ ნიშადურის სპირტი. საზოგადოდ საჭიროა ყველას ჰქონდეს შემდეგი წამლები:

1. ვალერიანის წვეთები (სისუსტისათვის).

2. ბოტკინის წვეთები (ფაღარათობისათვის).

3. ინოზემცოვის წვეთები (ესეც ამისთვის).

4 გოფმანის წვეთები (მუცლის ტკივილისთვის).

5. მწყავის წვეთები (გულის რევისათვის).

6 გახსნილი მარილის სიმჟავე—ნ წვეთი ერთ სტოლის კოვზზე ყოველივე ორ საათში წყურვილისათვის.

7) ქაფურის სპირტი ფეხების და ხელების დასაზელად კრუნჩხვის დროს.

8. ნიშადურის სპირტი სასუნებელი გულის წასვლის დროს, ძმარი—დასაზელი.

9. მერკურის ხსნილი: 1;2000 (ხელის დასაბანად).

10) კორბოლის სიმჟავე 5% (ხელის დასაბანად.

ექ. დ. ახვლედიანი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ი. ი ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი ი. ა. აბაიელაბ შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვების, სუნთქვისა, ფილტვების ანთებისა, გულის და [illegible] (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი. გვიარე ქლექის [illegible] ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდ კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. 127

ექიმი დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., [illegible] ღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუ[illegible] № 7. 21

ექიმი ზ. ბ. მუხაძე იღებს სადოსტ[illegible] რო ავადმყოფთ. საღამოს 5 [illegible] ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] მთავრის ქ. № 67, ოფიცეროა საეკონ[illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ. [illegible] სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77.

ექიმი ვ. მუხელიშვილი იღებს [illegible] მყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ლანოვის ქ. № 6.

ექიმი კბილისა კონსტანტინე არ[illegible]ზიანი განააახლა ავადმყოფებ[illegible] მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქ[illegible] ჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 121

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) [illegible] მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხისხლ[illegible] ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარ[illegible] ბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავა[illegible] მყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელ[illegible] ქტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი დებულობ[illegible] ავადმყოფებს ვენერიული, სა[illegible] რდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფ[illegible] ლისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღ[illegible] მოობით 5½—7 ხაათ. ყოველ ღე გარდ[illegible] კვირისა კერძო სამკურნალო მისაილოვ[illegible] პროსპექტი № 167. 20

ექიმი დ. ვ. ჯაფარიშვილი იღებ[illegible] შინაგან და ბავშვთა სნეულებია[illegible] ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდ[illegible] საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუ[illegible] № 41. ტელეფ. 14—09. 1[illegible]

ექიმი კავლე არდაზიანი და [illegible] იღებს ბავშვთა და შინ[illegible] მყოფთ, დილის 8—9 ს. და [illegible] მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი.

ექიმი შ. ა. მიქელაძე [illegible] განდა ბავშვთა სნეუ[illegible] მყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6 [illegible] დე, მიხეილის პროსპექტი № [illegible]

კერძო მიხეილის სამკურ[illegible] მუდმივი ლოგინებიი[illegible]

ავადმყოფების მიღება ყოველ დ[illegible] 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტ[illegible]

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე შინა[illegible] ყურის, ყელის და ცხვირი[illegible] ულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დ[illegible] 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვ[illegible] № 7 ტელეფონი 17—49. 1[illegible]

ექიმი ე. ლ. ზალაბეზერიძე იღებს [illegible] ბებიო და საშვილოსნოს [illegible] მყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი [illegible] როგრადის ქ. № 7. 1[illegible]

მედიცინის დოქტორი მიშნახენის უ[illegible] ვერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—[illegible] შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვ[illegible] ბისა, საბებრო და საშვილოსნოს სნეულ[illegible] ბანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმონოვის[illegible] აფთიაქის გვერდით. 624

თვალის საავადმყოფო მუდმივი საფიტ[illegible]ლით ექიმ დონინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასი[illegible] სტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალი[illegible] კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღ[illegible] ბიან დილის 9—1 საათამდე და საღამ[illegible] 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპო[illegible] ლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმ[illegible] და სარპერაციო ავადმყოფები სრული პან[illegible] სიონითაც მიიღებიან. 62[illegible]

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ[illegible] დღე (გარდა კვირისა) დილით;

„606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირ[illegible] რგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ[illegible]

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა [illegible] საშარდისა.

ბ. გ. აგასაროვი: 9½—2 ს. ბავშვ[illegible] შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავად[illegible] მყოფებს 11½ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა [illegible] ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრი[illegible] ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. ში[illegible] ნაგანი.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავად[illegible] მყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვ[illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციებ[illegible] მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის [illegible] დოქტორი **ა. ნავასარდიანი.** 101[illegible]

*) იხ. „სახ. საქ. № 300.